

მოკლე აღწერა: ერთ-ერთ სტუდენტს, სახელად ანა, სურს საზღვარგარეთ ისწავლოს. ამ მიზნით მიაკითხავს იგი აკადემიური სწავლების ინტერნაციონალურ ოფისს, ინფორმაციისა და რჩევების მისაღებად. აქვე შეიტყობს იგი კიდევ უფრო მეტს, ინტერნაციონალური ოფისის კომპეტენციის შესახებ და ასევე პოლონელი სტუდენტისგან – მაგდალენასგან, რომელიც კმაყოფილია ინტერნაციონალური ოფისის მრავალფეროვანი შემოთავაზებებით.

ავტორი: სამშაბათის ნაშუადღევია.გერმანისტიკის ფაკულტეტის ერთ-ერთი გერმანელი სტუდენტი იცდის შენობა .. ა ” – ში მოთავსებულ „ინტერნაციონალურ ოფისთან ”. მას ქვია ანა და არის 21 წლის. სწავლობს 2-ე კურსის პირველ სემესტრზე, გერმანული სისტემით 3-ე სემესტრზე. მისი სურვილია ერთი სემესტრით საზღვარგარეთ წავიდეს სასწავლებლად. იგი დიდად არის დაინტერესებული უცხოური კულტურით, მაგრამ პირველ რიგში სურს ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია მიიღოს. ამიტომაც აქვს შეხვედრა ქალბატონ შნაიდერთან. შნაიდერი არის რეკომენდატორი საზღვარგარეთ სასწავლებლად წამსვლელთათვის. ამასობაში ბიუროსთან გამოჩნდება მაგდალენაც. მაგდალენა არის პოლონელი სტუდენტი, რომელიც უკვე რამოდენიმე წელია, აუგსბურგში „ერაზმუს” (Erasmus) პროგრამით სწავლობს, ასევე გერმანისტიკას.იგი ჩამოვიდა გერმანიაში, გერმანული ენის გასაუმჯობესებლად და ასევე გერმანული კულტურის გასაცნობად. თავდაპირველად შიშობდა, რომ აუგსბურგს სათანადოდ ვერ შეეწყობოდა, მაგრამ პირველივე დღეს გაიცნო თავისი მომავალი მზრუნველი ე.წ ტუტორი (Tutor/in), რამაც მას სტარტის აგება გაუადვილა. მისი ტუტორია – ანა.

მაგდალენა: – ანა გამარჯობა..შენ აქ რას აკეთებ?

ანა: – გამარჯობა მაგდალენა.. მე ხომ მოგიყევი, რომ ერთი სემესტრით საზღვარგარეთ სწავლა მსურს. ამასთან დაკავშირებით მინდოდა ინფორმაცია მიმეღო და ამიტომ დღეს შეხვედრა მაქვს.. ოღონდ ცოტა ლოდინი მომიწევს ..

მაგდალენა: – უკვე გადაწყვიტე რომელ ქვეყანაში?

ანა: – ჰმ..მე ხომ ესპანურსაც ვსწავლობ, ამიტომ ესპანეთში ან სამხრეთ ამერიკაში ვისურვებდი, თუმცა ჯერ კიდევ ვერ შევჯერდი.მაგრამ შენ აქ რას საკითხზე ხარ? ასევე ქალბატონ შნაიდერთან?

მაგდალენა: – არა ქალბატონ შნაიდერთან არა. მის კომპეტენციაში ხომ მხოლოდ გერმანელი სტუდენტები შედის. მე პროექტ „Erasmus” რეკომენდატორთან – რაისნერ–იენერთან მაქვს რამოდენიმე კითხვა.

ანა: – რაიმე კითხვა თუ გაქვს, შეგიძლია მეც მომმართო, არ იცოდი?

მაგდალენა: – მადლობა, მაგრამ მე კიდევ მაქვს კითხვა ბინის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, სადაც ინტერნაციონალურმა ოფისმა მიშუამდგომლა. ამასგარდა მინდა გავიგო ჩემ საგანში ვინ არის კომპეტენტური პირი და რამოდენიმე კითხვა ჩემს სალექციო კურსებთან დაკავშირებითაც მაქვს.

ავტორი: მაგდალენა კმაყოფილია ინტერნაციონალური ოფისის დახმარებით. მას შეუძლია აქ ნებისმიერი კითხვით შესაბამის პირს მიმართოს. კონტაქტის საშუალება არის როგორც პირადი შეხვედრის, ასევე სატელეფონო და E-Mail - ის სახით. არსებობს ასევე გაცნობის და წარდგენითი სადამოები უცხოელი სტუდენტებისთვის. სადაც ისინი უნივერსიტეტის მნიშვნელოვანი დაწესებულებების შესახებ ინფორმაციას იღებენ. ასევე ხელმისაწვდომია შესაბამისი გზამკვლევი სახელმძღვანელო, უნივერსიტეტის შენობებისა და მათი მნიშვნელობების შესახებ. ანა უკვე საათს უყურებს. შეხვედრის დრო მოვიდა

ანა: – უკვე უნდა შევიდე. სამი საათია

მაგდალენა: – აჰ .. უკვე მეც. ჩემი შეხვედრა დიდხანს არ გაგრძელდება, ამიტომ შემდეგ შენ დაგელოდები კარგი?

ანა: – კარგი.. აბა მაშინ დროებით.

ავტორი: ანა ცოტა არ იყოს და დამაბული შედის შეხვედრაზე. მას საკმაო რაოდენობის კითხვა აქვს.

ანას და მაგდალენას მსგავსად, ინტერნაციონალურ ოფისს, ხშირად მიმართავენ სხვა სტუდენტებიც,,,,, ქალბატონი შნაიდერი განმარტავს:

შნაიდერი: აკადემიური სწავლების ინტერნაციონალურ ოფისს აქვს ორი მთავარი ფუნქცია: ერთის მხრივ არის მთავარი საურთიერთო პარტნიორი გერმანელი სტუდენტებისთვის, რომელთაც გერმანიის ფარგლებს გარეთ სწავლა სურთ, კერძოდ, ჩვენ ვშუამდგომლობთ მათ საზღვარგარეთ სწავლას ან პრაქტიკას. ხოლო მეორეს მხრივ, ასევე მთავარი საურთიერთო პარტნიორი უცხოელი სტუდენტებისთვის, არა აქვს ნმიშვნელობა იქნება ეს „ერაზმუს“ (Erasmus) პროგრამის პარტნიორი ქვეყნების ფარგლებში, თუ სხვა არა ევროპული ქვეყნიდან.

ავტორი: აუგსბურგის უნივერსიტეტში, ყოველწლიურად არის 1600 მდე უცხოელი სტუდენტი. ეს შეადგენს 10%-ს. ამასგარდა ყოველწლიურად 600-მდე გერმანელი სტუდენტი მიდის საზღვარგარეთ სასწავლებლად. ინტერნაციონალურ ოფისს, გარდა „ერაზმუს“ პროგრამისა, აქვს ასევე ხელშეკრულება სამხრეთ ამერიკასთან და აზიასთან. ასევე ავსტრალიასთან და ჩრდილოეთ ამერიკასთან, რომელთა სტუდენტებიც არ არიან სასწავლო გადასახადისგან თავისუფალნი. ამასთან, უცხოელ სტუდენტებს, რომლებიც სრულ აკადემიურ სწავლებას * უცხო ქვეყანაში გადიან, ასევე ყველა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ . ანას აფიქრებს ის, თუ როგორ შეუძლია თავისი საზღვარგარეთ სწავლა დააფინანსოს, ამიტომაც სურს იკითხოს, დაფინანსების თუ რა საშუალებები არსებობს.

შნაიდერი: საუკეთესო შესაძლებლობაა მათთვის, ვინც „ბაფოგს“ * იღებს, რადგან მათ ასევე საზღვარგარეთ სწავლისთვის ე.წ. „საზღვარგარეთის ბაფოგზე“ განაცხადის შეტანა შეუძლიათ. ამისათვის არაა აუცილებელი საუკეთესო აკადემიური შეფასებების ქონა. სხვებს კი შედარებით უკეთესი აკადემიური შეფასებები მოეთხოვებათ, თუკი მათ სტიპენდიის მიღება სურთ. მაგრამ ყოველგვარი შელამაზების გარეშე აქვე ვიტყვოდი, რომ არსებობს რა თქმა უნდა სტიპენდიების გამცემი ფონდები, მაგრამ სტიპენდიები შედარებით მცირე ნაწილის ხვედრია.

ავტორი: ამასთან, მსურველებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ, განაცხადის დროულად გაკეთებაზე. წესისამებრ, ეს ერთი წლით ადრე უნდა მოხდეს, ვიდრე გაემგზავრებიან. სტუდენტების უმეტესობა მიდის მე-5 სემესტრიდან საზღვარგარეთ სასწავლებლად. როგორც გერმანელ, ასევე უცხოელ სტუდენტებს აქვთ საშუალება ინტერნაციონალური ოფისისგან „ინტერნაციონალური კულტურის სერთიფიკატი“ მიიღოს, რაც ადასტურებს მათ კომუნიკაბელურობის უნარს, სათანადო დონეზე ენის ფლობას, ასევე მათ მოტივაციას უმაღლეს სასწავლებელსა და ინტერნაციონალურ ურთიერთობებთან მიმართებაში. ნებისმიერ მსურველს შეუძლია ინფორმაცია შემდეგ ვებ-გვერდზე მიიღოს: www.aaa.uni-augsburg.de!

გასაუბრების შემდეგ ანა სრული შემართებით განეწყო, ისე, რომ ახლავე დიდი სიამოვნებით შეიტანდა განაცხადს. ამასობაში მაგდალენა უკვე გარეთ იცდის.

მაგდალენა: – აბა! როგორი იყო გასაუბრება?

ანა: – კველაფერმა კარგად ჩაიარა. ახლა სულმოუთქმელად ველოდები შემდგომ მითითებებს!

მაგდალენა: მე მხოლოდ რამოდენიმე კიხთვა მქონდა და ჩემ შემთხვევაში დიდხანს არ გაგრძელებულა...ანა? შევხვდებით დღეს ერთმანეთს ინტერნაციონალურ საშობაო ზეიმზე?

ანა: სიამოვნებით!.. მე ისედაც მსურდა დასწრება. ნამდვილად რაიმე მხიარული იქნება!

ავტორი: ინტერნაციონალური ოფისი არა მხოლოდ სტუდენტებისთვის რეკომენდაციების გაწევით, არამედ სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებითაცა არის დაკავებული.

შნაიდერი: რაც შეეხება ღონისძიებებს, ინტერნაციონალური სტუდენტებისთვის ვაკეთებთ ასევე ექსკურსიებსაც ქალაქ ულმის ან როტენბურგის მიმართულებით. ვატარებთ როგორც ინტერნაციონალურ – საშობაო, ასევე საზაფხულო ღონისძიებებსაც. რაც შეეხებათ გერმანელ სტუდენტებს, მათთვის ვატარებთ საინფორმაციო ან სარეკლამო აქცია–ღონისძიებებს. თითოეული ღონისძიების შესახებ, ვანთავსებთ განცხადებას როგორც ინტერნეტში, ასევე დაბეჭდილ ფლაერზე,

რომელზეც ნებისმიერს შეუძლია პირადი საკონტაქტო მონაცემები შეიტანოს. ასე რომ წესისამებრ ახალი ინფორმაციები აღარავის უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა.

ავტორი: ინტერნაციონალურ საშობაო ზეიმზე შეხვედებით სტუდენტებს: გერმანიიდან, პოლონეთიდან, კამერუნიდან, ესპანეთიდან, ჩილედან, ტაილანდიდან, ჩინეთიდან, ინგლისიდან, იტალიიდან და ა.შ. ეს კი ნამდვილად მეტი ხალისის მომტანია!!!

შენიშვნა:

* **გერმანული აბრევიატურით – AAA.** აბრევიატურა მომდინარეობს წმდეგი სახელწოდებიდან – Akademisches Auslandsamts

* პროგრამა „ერაზმუს“ (Erasmus) – არის სასწავლო პროგრამა ევროპის ქვეყნების ფარგლებში

* ე.წ ბაკალავრის საფეხურს, საქართველოს სტანდარტებისთვის

* **Bafög** - ეს არის თანხა, რომელსაც გერმანიაში სტუდენტები სახელმწიფოსგან იღებენ, სწავლის დასაფინანსებლად. თანხას სტუდენტი უბრუნებს სახელმწიფოს, სწავლის დასრულების შემდგომ ეტაპობრივად

ავტორები: ლიზა ნეჩერი და თამარა ვაიმაირი

Übersetzt von

Natia Tsikelashvili